წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №7

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 29 მაისი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია,ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: დავით ბელქანია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს, მერიის თანამშრომლები .

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 10).

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსი

2. .მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

3. საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

4. სხვადასხვა.

მოისმინეს : 1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N11).

მოისმინეს: 2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N12).

მოისმინეს: 3. საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N13).

მოისმინეს: 4. სხვადასხვა

ა) საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ მოუწოდა მერიის შესაბამის სამსახურებს დროული რეაგირება მოახდინონ და მოხდეს დამწვარი მერიის შენობის დემონტაჟი.

მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ჭანიამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრეებთან და უახლოეს დღეებში გადაწყდება ეს საკითხი, ხოლო რაც შეეხება საკუთრების უფლების მქონე შპს-თან უკვე მიღწეულია შეთანხმება.

ბ) საკრებულოს წევრმა გოჩა ლიპარტიამ ისაუბრა ჯვარში ძაღლების დაკბენის შემთხვევებზე. მან აღნიშნა რომ უკვე ამ მხრივ ჯვარში სავალალო მდგომარეობაა (1 თვეში 22 დაკბენის შემთხვევა) და საჭიროა სათანადო ზომების მიღება. მან ასევე მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას „თეთრხალათიანების" დაფასებისთვის.

გ) საკრებულოს წევრმა ცოტნე მესხიამ აღნიშნა, რომ ყოველგვარ ზღვარს სცილდება ენერგო პრო-ჯორჯიას უპასუხისმგებლობა. მან აღნიშნა, რომ ობუჯის თემში გამსკდარი ელექტრო სადენი სადაც დენი გადის კერძო საკუთრების ეზოში ხეს ედებოდა და შეიძლებოდა ეს ფატალური შედეგით დასრულებულიყო და მან მოითხოვა აღნიშნულზე სათანადო რეაგირება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია